603 № 11152



პრობლემა, რომელიც დღის წესრიგიდან არ მოხსნილა, პირიქით, გულგრილობით უფრო გამწვავდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს გაზეთი

1 მაისი, პარასკევი, 1992 წ.
№ 23 (10 680) ● ფასი 60 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინც იზიარებს ჩვენს გულისტკივილს, გთხოვთ გამოგვეხმაუროთ, მოგვწეროთ, ან ტელეფონით (99-56-14, 99-56-47) გვაცნობოთ ყველა კონკრეტული ფაქტი, რომელიც ზემოაღნიშნულ პრობლემას შეეხება. „ლელოს“ რედაქცია კატეგორიულად მოითხოვს: სასწრაფოდ ჩაერიოს საქმეში დედაქალაქის ხელისუფლება, თავიანთი სიტყვა თქვან სამართალდამცავმა ორგანოებმა, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციებმა, ყველამ, ვისაც ამგვარი განუკითხაობის სასწრაფოდ აღკვეთა ევალება.

„....ცოდო-მადლი იწონება“

თბილისში თავგამოდებული ენთუზიაზმით მიმდინარეობს საცხოვრებელ ადგილებში მარტივი სპორტული მოედნების, ბავშვთა სათამაშო ბაქნების, უბრალოდ, ეზოების შეუწყალო ანექსია.

ბარსელონისკენ, სპორტსმენებო!

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტრომ გვაცნობა სპორტის ცალკეულ სახეობებში რესპუბლიკური ფედერაციების მიერ რეკომენდებულ იმ სპორტსმენთა გვარები, რომლებიც XV ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის კანდიდატთა სიაში მოხვდნენ:

აფროსნობა — გურამ ბიგანიშვილი და კარინე ბალდასაროვა;

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა — გელა პაპაშვილი, კობა გულიაშვილი, ბეგი დარჩია, გიორგი კოღუაშვილი, ზაურ ივანიშვილი, გიორგი ჯინჭველაშვილი;

ველოსპორტი — ვასილი დავიდენკო;

თავისუფალი ჭიდაობა — გივი სისაური, დავით პოღოსიანი, გიორგი ხინჩაგაშვილი, ჯონი მოდოსიანი, ლერი ხაბელოვი, ზაზა ზოზიროვი, ზაზა თურმანიძე, დავით გობეჯიშვილი;

თანამედროვე ხუთჭიდი — ვახტანგ იაგორაშვილი;

კრივი — პაატა გვასალია, კახა ბარავი, აკაკი კაკაურიძე, რამაზ და ზურაბ ფალიანები, კობა გოგოლაძე, ზურაბ სარსანია, თენგიზ მესხაძე;

მშვილდოსნობა — ხათუნა ქვრივიშვილი, ნატო ნასარიძე;

მძლეოსნობა — მაია აზარაშვილი, ოლეგ სტრიჟაკოვი;

სასტენდო სროლა — თამაზ იმნაიშვილი;

ტყვიის სროლა — ნინო სალუქვაძე;

ძალოსნობა — კახი კახიაშვილი;

ძიუდო — გიორგი ვაზაგაშვილი, ამირან ტოტიკაშვილი, გურამ დგებუაძე, იოსებ ლიპარტელიანი, კობა კურტანიძე, დავით ბაგაური;

ჩოგბურთი — ლელა მესხი;

წყალში ხტომა — გიორგი ჩოგოვაძე.

ზოგიერთ მათგანს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა გაერთიანებულ გუნდში, რომელიც ოლიმპიადაზე წავა, ადგილი თითქმის გარანტირებული აქვს, მაგრამ საბოლოო „საცერი“ მაინც ყველამ უნდა გაიაროს — სხვადასხვა რანგის ტურნირებში, უკანასკნელ შესარჩევ ასპარეზობებში უნდა დაამტკიცონ თავიანთი უპირატესობა. საბოლოოდ ოლიმპიელების ვინაობას ივნისის ბოლოს შეიტყობენ გულშემატკივრები.

ინფორმაცია

მინსკში, ბელარუს სამბისტთა ღია ჩემპიონატზე ქართველი და უკრაინელი მოჭიდავეებიც ასპარეზობდნენ. 74 კგ წონის ფინალში ქარელელი ზაზა გულიაშვილი და თბილისელი არჩილ ბიძინაშვილი გავიდნენ. ამ უკანასკნელის ტრავმის გამო გამარჯვება გულიაშვილს ერგო. თბილისელმა მევლუდ მელაძემ (57 კგ) მეორე ადგილი დაიკავა, საგარეჯოელმა მამუკა კურდღელაშვილმა (68) და თბილისელმა გიორგი მაღრაძემ (82) — მესამე.

ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

სპორტული ცეკვების საქართველოს ასოციაცია, საბუთების წარდგენამდე, დროებით წევრად მიიღო სპორტული ცეკვების საერთაშორისო ფედერაციამ.

ნაკრებს უხელმძღვანელებენ...

ეროვნული ნაკრების უფროს მწვრთნელად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა დაამტკიცა — დამსახურებული მწვრთნელი ანატოლი ნორაკიძე. ტექნიკურ დირექტორად — რამაზ შენგელია, მწვრთნელად — ნიკა ამირეჯიბი, მწვრთნელ-მეთოდისტად — ირაკლი გორგოშიძე. ეროვნული ნაკრების ადმინისტრატორად იმუშავებს ანზორ გაბიტაშვილი, ექიმად დიმიტრი ზაალიშვილი.

სპეციალისტების აზრით, ქართველ ძალოსანს კახი კახიაშვილს (ამჟამად იგი დონის როსტოვში ცხოვრობს, ვარჯიში კი ცხინვალში, ივანე გრიქუროვის ხელმძღვანელობით დაიწყო) 90 კგ წონაში ბადალი არ ჰყავს. ეს ვარაუდი ერთხელ კიდევ დადასტურდა უნგრეთში, ქალაქ სეკსაარში ახლახან დამთავრებულ ევროპის ჩემპიონატზე, რომელშიც კახიაშვილმა ორჭიდის ჯამში 400 კილოგრამი მოაგროვა და დიდი უპირატესობით მოიგო ჩემპიონის ოქროს მედალი. იგი ახლა ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის რეალური კანდიდატია.

სურათზე: 1992 წლის ევროპის ჩემპიონი კახი კახიაშვილი.



ჭადრაკი ● საქართველოს ჩემპიონატი ქალთა შორის

გურიელიც წავა მანილაში

მერვე ტურის გადადებული პარტიების დამთავრებისას დაზავდნენ ნინო გურიელი და ქეთევან მელაშვილი, ქეთევან არახამიამ წააგო ნინო ხურციძესთან, ციალა ქასოშვილი და ნატო ეძგვერაძე ყაიმზე შეთანხმდნენ. დარჩენილ სამ ტურში დიდოსტატმა გურიელმა, რომელსაც საქართველოს ჩემპიონობა და, მაშასადამე, მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე მონაწილეობის უფლება თითქმის განაღდებული ჰქონდა, მეტოქეებთან დაზავება არჩია. საბოლოოდ მან 11 შესაძლებლიდან 9 ქულა მოაგროვა და პირველი ადგილი დაისაკუთრა. მეორე ადგილზე გავიდა დიდოსტატი ქეთევან კახიანი (8 ქულა), მესამე-მეხუთე ადგილები გაინაწილეს თეა ლანჩავამ, ნინო ხურციძემ და ქეთევან არახამიამ — 7-7 ქულა.

ტექნიკური შედეგები. **IX ტური.** მელაშვილი — სოფიკო ნიკოლაძე 1:0, ხურციძე — გურიელი 0,5:0,5, თეა ლანჩავა — არახამია 1:0, თამარ ფაჩულია — ინგა ხურცილავა 0:1, ეძგვერაძე — თამარ ხმიადაშვილი 1:0, კახიანი — ციალა ქასოშვილი 0,5:0,5.

X ტური. ნიკოლაძე — ქასოშვილი 1:0, ხმიადაშვილი — კახიანი 0:1, ხურცილავა — ეძგვერაძე 0,5:0,5, არახამია — ფაჩულია 1:0, გურიელი — ლანჩავა 0,5:0,5, მელაშვილი — ხურციძე 1:0.

XI ტური. ლანჩავა-მელაშვილი — 1:0, ხურციძე-ნიკოლაძე — 1:0, ფაჩულია-გურიელი — 0,5:0,5, ეძგვერაძე-არახამია — 0:1, კახიანი-ხურცილავა — 1:0, ქასოშვილი-ხმიადაშვილი — 0,5:0,5.

სურათზე: ნინო გურიელი.

• • •

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ

ჰოლანდიელმა დიდოსტატმა იან ტიმანმა ესპანეთის ქალაქ ლინარესში მიმდინარე მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინისთვის მებრძოლთა ნახევარფინალურ მატჩში მეათე პარტიაც მოუგო არტურ იუსუპოვს (რუსეთი), ანგარიში გახდა 6:4 ტიმანის სასარგებლოდ მან მოიპოვა უფლება პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში შეხვდეს ინგლისელ ნაიჯელ შორტს, რომელმაც შეძლო მსოფლიო ექსჩემპიონის ანატოლი კარპოვის დამარცხება 6:4.

კვლავინდებურად დიდოსტატურია...

საქართველოს წყალში მხტომელთა ნაკრების ლიდერი გიორგი ჩოგოვაძე ახლახან ჩინეთში გამართულ დიდ საერთაშორისო ასპარეზობაზე ცდიდა ძალას და 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში მხოლოდ ერთი სპორტსმენი „გაუშვა“ წინ — მასპინძელი, მსოფლიო ჩემპიონი და სეულის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი სიუ ნი, რომელმაც 632,4 ქულა მოაგროვა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩოგოვაძეს წელიწადზე მეტია სათანადოდ არ უვარჯიშია, მისი შედეგი კი (595,53 ქულა) კვლავინდებურად დიდოსტატურია, შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი ოლიმპიური ნაკრების ერთ-ერთ ძირითად კანდიდატად რჩება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



.....ცოდო-მადლი იწონება"

ყველაფერი საჭიროა — გარაჟიც, ბინებზე ფართობის მომატებაც, საქელეხე ფარდულებიც, ბაღჩა-ბოსტანიც, მაგრამ არამც და არამც ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების, საქართველოს მომავალი თაობის ჯანმრთელობის ხარჯზე. დავფიქრდეთ!

თუ ახლავე არ დავუსვით წერტილი გაუფიქრობლობას, ხვალ გვიან იქნება, მომავალი თაობა გულგრილობას არ გვაპატიებს.

სპორტული ტანვარჯიშში ახალი რაკურსით

კვლავ გამოჩნდა სარბიელზე სოფიკო მანაგაძე. მართალია, იგი ჯერ კიდევ შორსაა ჩვეული ფორმისგან (ტრავმის გამო ნახევარ წელიწადზე მეტი გაუცდა), მაგრამ გამოცდილებამ და ოსტატობამ თავისი გაიტანა — მანაგაძემ („შევარდენი", ქუთაისი) სპორტის ოსტატებს შორის მრავალჭიდშიც დამაჯერებლად გაიმარჯვა (74,3 ქულა) და დვირზეც (9,65) საუკეთესო იყო. საქართველოს თასისთვის ბრძოლაში (იგი გულო რცხილაძის სახელობის ტანვარჯიშის კომპლექსში მიმდინარეობდა) მეორე ადგილზე გავიდა თბილისელი თეა თოდაძე („მართვე") — 73,3, მესამე იყო მისი თანაგუნდელი შორენა გოგუაძე — 73,2.

ს. მანაგაძის გარდა ცალკეულ იარაღებზე თავი ისახელეს: თავისუფალ ვარჯიშში შ. გოგუაძემ (9,4). ორძელზე — თეა თოდაძემ (9,4), ბჯენით ხტომებში — ნატალია ბიკენტოვამ („დინამო", თბილისი) — 9,5.

პარალელურად თამაშდებოდა „იმედის თასიც" (ოსტატობის კანდიდატებს შორის). აქ უძლიერესი იყო მაია ქორქოლიანი („მართვე", ქუთაისი) — 72,7, მომდევნო ადგილები დაიკავეს ტატიანა ედკომ („შევარდენი", თბილისი) — 71,4 და გვანცა მეგენეიშვილმა („მართვე", სამტრედია) — 70,8.

ვაჟთა შეჯიბრებაში ლ. სისაურის არყოფნით ყველაზე უკეთ „ისარგებლა" ნუგზარ ლვინიაშვილმა („შევარდენი", თბილისი). მრავალჭიდში ოსტატთა შორის მან 110,95 ქულა მოაგროვა. თბილისელი დინამოელი ელდარ ფუნთუშაშვილი გამარჯვებულს 1,05 ქულით ჩამორჩა, მესამე იყო ბათუმელი გენადი სურმანიძე („მართვე") — 107,3. ნ. ლვინიაშვილმა გაიმარჯვა აგრეთვე სამ სახეობაში: ღერძზე (9,4), თავისუფალ ვარჯიშში (9,25) და რგოლებზე (9,65). ხტომებში უძლიერესი იყო ელდარ ფუნთუშაშვილი (9,575), ორძელზე — ხვიჩა გაბიევი (9,25), ტაიჭზე — გენადი სურმანიძე (9,5).

„იმედის თასი", როგორც მოსალოდნელი იყო, მოიგო 14 წლის ქუთაისელმა ილია გიორგაძემ („მართვე") — 111,75. მეორე ადგილზეა ალექსანდრე თვაური — 107,65, მესამეზე — არჩილ რევაზიშვილი — 101,85 (ორივე — „მართვე", თბილისი).

— ამ შეჯიბრებას ჩვენთვის ის მნიშვნელობაც ჰქონდა, რომ „საბრძოლო ვითარებაში" შეგვემოწმებინა მონაწილეთა მზადყოფნა ტანვარჯიშის საერთაშორისო ფესტივალისთვის, რომელიც მინსკში გაიმართება ივლისში, — გვითხრა საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ჰანს ბურჯანაძემ — ჩვენი ტანმოვარჯიშეები, რომლებსაც სისაურიც შეუერთდება, იქ, ალბათ, წარმატებით იასპარეზებენ. ისე კი, ამთავითვე ვფიქრობთ ატლანტის 1996 წლის ოლიმპიადაზე, სადაც საქართველოს ტანმოვარჯიშეები დამოუკიდებლად გამოვლენ. ყველაზე უკეთესი შანსები იქ სასპარეზოდ დღესდღეობით აქვთ სისაურს, ლვინიაშვილს, გიორგაძეს, სურმანიძეს, თვაურს, ზუბაშვილს..

— მალე ალბათ, საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაცია საერთაშორისო ფედერაციის წევრი გახდება ბარსელონის კონგრესზე,— დასძინა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა რუსუდან სიხარულიძემ — რაც, ცხადია, გაცილებით მეტ სტიმულს მისცემს ჩვენს სპორტსმენებს.

სოფიკო მანაგაძე



ნუგზარ ლვინიაშვილი

ოთარ ოთარაშვილი

„შევარდენი-ელვა" დიდ დიღომში

ხულ ახლახან შეიქმნა ველოსიპედისტთა სპორტული კლუბი „შევარდენი-ელვა", რომლის დამაარსებლები არიან საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტრო, რუსთაველის სამმართველო, თბილისის სინთეტიკური და სატრიკოტაჟო-საგალანტერეო ფაბრიკები.

კლუბის პრეზიდენტია ოთარ ლაზიშვილი, ვიცე-პრეზიდენტები: ირაკლი ბოკერია, სპორტის ოსტატი სერგო სავანელი, დირექტორ-განმკარგულებელი, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ავთანდილ გუნია.

„შევარდენ-ელვამ" გამართა პირველი ასპარეზობა და დებიუტი საკმაოდ საინტერესო და სპორტულად დაძაბული გამოდგა. ამაში დაგვეთანხმებიან დიდი დიღმის ახალმოსახლენი, რომლებმაც უყოყმანოდ მიატოვეს საკარმიდამო ნაკვეთებში საგაზაფხულო საქმიანობა და დასახლების მთავარ, ფარნავაზის ქუჩას მიაშურეს, რომლის ორკილომეტრიანი წრე უნდა დაეძლიათ კლუბის ღია პირველობის მონაწილეთ.

ჯერ სტარტზე გამოვიდნენ 1976, 1977 და 1978 წლებში დაბადებული ჭაბუკები, რომელთაც 5-ჯერ (საშუალედო ფინიშით) უნდა გაევლოთ წრე. აქ 20 მრბოლი იბრძოდა გამარჯვებისათვის და პრიზიორთა სამეული ასე გამოიყურება: 1. იგორ მოლოდცოვი (თბილისი, „მართვე"), 2. ლევან პაპაშვილი (ოლიმპიური მზადების ცენტრი „ივერია"), 3. რუსლან კეხბა (რუსთავი, „შევარდენი"). მოზრდილთა 10-წრიან ასპარეზობაში არაერთი ნაცნობი სახელი იყო, რომლებმაც შემოდგომაზე პირველ რესპუბლიკურ თამაშებში დაგვამახსოვრეს თავი. კერძოდ, აკაკი ზამბახიძე, ქუთაისელი დავით შავგულიძე, ვანელი მალხაზ ჩახუნაშვილი და სხვა. აქ რუსთაველმა პეტრე პოტაპოვმა („შევარდენი") აჯობა ყველას, მომდევნო ადგილებზე თბილისის „მართვეს" წარმომადგენლები: კახა ოდიკაძე და გია ხუციშვილი არიან. მათ სამახსოვრო პრიზები და ფულადი ჯილდოები გადაეცათ. კლუბმა ველომაისურები დააწესა ჯილდოდ მაყურებელთათვის, რომლებიც შეეჯიბრებოდნენ ერთმანეთს... 100 მეტრზე რბოლაში. სურვილი გამოთქვა ხუთმა ბიჭუნამ. მათ შორის უძლიერესი აღმოჩნდა თბილისის 186-ე სკოლის მეექვსეკლასელი გიორგი ჩხაიძე. პირველი პრიზიც მას ერგო.

ხურათებზე: რბოლის მომენტი; დაჯილდოების დროს.

ინფორმაცია

პაპენი:
ნახვამდის, „ოლიმპიკ"

საფრანგეთის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ჟან პიერ პაპენი ტოვებს მარსელის „ოლიმპიკს". ეს განაცხადა მან „ოლიმპიკ"—„კანის" მატჩის დამთავრების შემდეგ. თამაში „ოლიმპიკის" გამარჯვებით დამთავრდა — 2:0. ერთი ბურთი პაპენის ანგარიშზეა.

ეს სენსაციური ცნობა გულშემატკივრებმა უწუხარებით აღიქვეს. პაპენი ამიერიდან „მილანში" ითამაშებს.

„ბებრები"
აღარ ხუმრობენ

ლას-ვეგასში გაიმართა მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა საინტერესო ბრძოლა: 43 წლის მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ჯორჯ ფორმენმა მეათე რაუნდში აჯობა ალექს სტიუარდს. გამარჯვებულმა 5 მილიონი დოლარი მიიღო. 19 ივნისს დაგეგმილია მსოფლიოს მეორე ექსჩემპიონის ლარი ჰოლმსის შეხვედრა ამჟამინდელ ჩემპიონ ევანდერ ჰოლიფილდთან. ამ ორთაბრძოლის შემდეგ ფორმენი ძალებს მოსინჯავს ჰოლმსთანაც.

მოგვაწოდა დათო დავითაიამ.

ბალახის ჰოკეი თუ ქართული ჭოროლა?

საქართველო მდიდარია არა მარტო კულტურის უძველესი ძეგლებით, არამედ მრავალფეროვანი სპორტული თამაშებითაც. ცხენბურთი, ლელო და სხვა თამაშები ძველთაგანვე ქართველი კაცის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო.

ქვეყნის ყოველ კუთხეს ჰქონდა თავისი სპორტული თამაშები, რომლებიც ერთიმეორისგან ძირფესვიანად განსხვავდებოდა.

საინგილოში (დღევანდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონები) მდიდარ ფოლკლორთან ერთად ქართველებს შემოუნახავთ ზოგიერთი ისეთი თამაში, რომელიც საქართველოს სხვა კუთხეში აღარ გვხვდება.

ერთ-ერთი ასეთი თამაში იყო **ჰოროლა**, ანუ დღევანდელი ბალახის ჰოკეი. აქვე ვიტყვით, რომ თვით სახელწოდება, რომელიც რუსულიდან უთარგმნიათ („ხოკეი ნა ტრავე"), არ არის ზუსტი; თამაშობენ არა ბალახზე, არამედ ღია მწვანე მოედანზე, სადაც ბურთი ბალახში არ ჩაეფლობა და თავისუფლად იგორებს. ჰოროლას, რომელიც ძალიან ჰგავდა ბალახის ჰოკეის, 1941 წლამდე, ე. ი. ომის დაწყებამდე, თამაშობდნენ ზაქათალის რაიონის სოფელ ალიაბადში, სადაც მაჰმადიანი ქართველები — ინგილოები ცხოვრობენ. ამ სოფელში, ქურათუბანში, ხშირად ეწყობოდა შეჯიბრებები ჰოროლაში და ამ ვაჟკაცურ თამაშს მრავალი მაყურებელი ადევნებდა თვალს.

ახალგაზრდა ინგილოს, თუკი უნდოდა თანატოლთა შორის თავი გამოეჩინა, ან გულის სწორის მოწონება დაემსახურებინა, აუცილებლად უნდა სცოდნოდა ჰოროლა. ეს მაშინ არც ისე იოლი იყო. ჯერ ერთი, არ ჰქონდათ რეზინის ბურთი, ე. ი. რეზინის ჰოროლა. მას აკეთებდნენ მუხის კანის კოჟრისაგან (ტურისგან), იწონიდა 100-150 გრამს, იყო მყარი და გამძლე; „ჩომაყები" კი (ყვანჯები) მზადდებოდა ვაზის, მუხის, შინდის, კაკლის ან თხილის ტოტებისაგან, რათა გამძლე ყოფილიყო. ქვასავით მაგარი ჰოროლა ხშირად სერიოზულ ტრავმებს იწვევდა, მაგრამ მეჰოროლე თამაშის დამთავრებამდე არ ტოვებდა მოედანს, რადგან ეს სამარცხვინოდ ითვლებოდა. ამ თამაშში მხოლოდ ამტანი და მამაცი ახალგაზრდები მონაწილეობდნენ.

თამაშის დრო განსაზღვრული არ იყო. იგი გრძელდებოდა დაახლოებით ორ საათს — დაბნელებამდე.

მონაწილენი ორ ჯგუფად იყოფოდნენ. მოედანი დაახლოებით ბალახის ჰოკეის მოედნის ზომისა იყო. კარების მაგივრობას 50 სმ დიამეტრის და 20-30 სმ სიღრმის ორმოები სწევდა. ჰოროლა ორმოში რომ ჩავარდებოდა, გაისმოდა შეძახილები: „ჯირთი", „ჯირთი", ჯირთი"! ყოველი ჯირთის (გოლის) შემდეგ მოთამაშეები თავიანთ მხარეზე გადადიოდნენ და თამაში ცენტრიდან განახლდებოდა ხოლმე. თუ ჰოროლა გვერდით ხაზს გადაკვეთდა, მას ჩომაყით გაათამაშებდნენ. უხეში თამაშისათვის ინიშნებოდა „პენალტი" — თხმეტრიანი დარტყმა. კუთხურს საერთოდ არ ნიშნავდნენ: ჰოროლას ორმოს მარცხნივ და მარჯვნივ საგანგებო აღნიშნული ადგილიდან ურტყამდნენ მოწინააღმდეგის მხარეს. თუ ჰოროლას ორმოს გვერდით ხაზს იქით სამჯერ განზრახ დაარტყამდნენ, ინიშნებოდა პენალტი. მოედნის გარედან თამაშს სჯიდა ორი მსაჯი (მარცხენა და მარჯვენა).

აგერ უკვე 50 წელიწადია, საინგილოში ჰოროლა მიივიწყეს. დაივიწყეს ეს ნამდვილი ქართული თამაში, რომელიც არც ლეკების, არც აზერბაიჯანელების სოფლებში არასოდეს უთამაშიათ.

სასურველია, რაც უნდა დაგვიანებული იყოს, **ბალახის ჰოკეის ვუწოდოთ თავისი ნამდვილი ქართული სახელი — ჰოროლა და აღვადგინოთ ეს თამაში საქართველოში.** მეორე, „გოლის" მაგივრად შეიძლება შევძახოთ „ჯირთი", რომელიც, ეტყობა, მეგრული „ჰვირთი"-სგან (სწრაფი), მომდინარეობს. ინგილოური დიალექტის არსებით სახელებში „ვ" ასო ბევრი სიტყვიდან ამოვარდნილია (კვირაკირა, ციცქვილი-ციცქილი და სხვა). ამიტომ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „ჰვირთი" გახდა „ჰირთი" — ჯირთი.

ასე თუ ისე, ჰოროლა ქართული ეროვნული თამაშია.

მ. ბიულბაშედოვი (მამია ენუქელი),

პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ჟურნალისტი.

◆

აკადემიის პირველი გამოშვება

საქართველოს ოლიმპიურმა აკადემიამ, რომლის რექტორია პროფესორი ავთანდილ ციბაძე, პირველი გამოშვება იზეიმა, კურსდამთავრებულებს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დიპლომები გადაეცათ.

ცერემონიალი ფიზკულტურის ინსტიტუტთან არსებულ ბავშვთა და მოზარდთა ექსპერიმენტულ სპორტსკოლაში გაიმართა — პირველი მსმენელები ხომ აქ მომეცადინე ბავშვების დედები და მამები, მშობლების მშობლები იყვნენ.

დიპლომები გადასცა სეოკ-ის პრეზიდენტმა ქალბატონმა ნონა გაფრინდაშვილმა. ღონისძიებას მრავალფეროვანი სპორტული პროგრამა მიეძღვნა.

სადა ხართ, ქალაქის ხელისუფალნო, სახლმმართველობების მუშაკებო, უბნის ინსპექტორებო!

ცხადია, იქ ბრძანდებით, სადაც უნდა იყოთ, მაგრამ...

თამამად ვაცხადებთ: სახლმმართველობები და ინსპექტორები, ნაცვლად იმისა, რომ ხელს უშლიდნენ მოქალაქეთა თვითნებობას, წაყრუებით და ალიანსით აქეზებენ კიდეც მათ — პირადი გამორჩენის მიზნით. თურმე ყველაფრის ყიდვა შეიძლება. შესაძლებელი ყოფილა შთამომავლობის ჯანმრთელობის შეგნებულად, დაუფარავად გაყიდვაც.



....ცოდო-მადლი იწონება“

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

XXIX ტური

„მრეტები“ (თბილისი) — „კოლხეთი“ (ხობი) 2:0 (0:0)

თბილისი. ბ. პაიჭაძის სახელობის სტადიონი. 25 აპრილი.

„მრეტები“: ჯანელიძე, ქორიძე, პაპიძე, ქვარცხავა, სიდამონიძე, ასპინძელაშვილი, იაგორაშვილი, ჩუხუა, ქინქლაძე, ყორყიაშვილი, ხურცილავა.

„კოლხეთი“: მიქავა, პაჭკორია, კაციტაძე, ფარფალია, დოლბაია, ხურცილავა, შენგელია (ბულაშვილი, 41), კალუგა (ალანია, 60), გვასალია, ქაშიბაძე, ჭიჭინაძე.

მსაჯები: ე. სილაგავა, მ. ჭელიძე, ი. შალამბერიძე (სამივე — თბილისი).

გოლები: ჩუხუა (78), ხურცილავა (88).

გააფრთხილეს: კაციტაძე, პაჭკორია, პაპიძე.

მასპინძლები თამაშის წინ პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ — ტრავმის გამო მინდორზე ვერ გამოვიდოდა მათი თავდასხმის ერთ-ერთი ლიდერი ტყავაძე. თუმცა გუნდს ჰყავს მისი ღირსეული შემცვლელი — ქინქლაძე, რომელსაც უნდა წარემართა კიდეც „მრეტების“ შეტევები. ეს კარგად იცოდა ხობელთა მწვრთნელმა და ქინქლაძეს პერსონალური მეურვე მიუჩინა (გარემარბი ჭიჭინაძე). მოგეხსენებათ, ასეთი ტაქტიკა, როცა მეთვალყურე პირნათლად ასრულებს მწვრთნელის მითითებას, ბორკავს მოწინააღმდეგეს, ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს მას, ერთი მხრივ თამაშს, მის სახაობრივ მხარეს აკნინებს, მეორე მხრივ კი თვით მეურვესაც ბოჭავს, არ აძლევს მას შესაძლებლობების სრულად გამოვლენის საშუალებას.

მეორე ტაიმში ჭიჭინაძეს მობეზრდა აჩრდილის როლი, რამდენჯერმე თავად შეუტია მეტოქის კარს და საკმაოდ სახიფათოდაც. ქინქლაძისადმი გამოჩენილმა „ყურადღებამ“ მოქმედების მეტი შესაძლებლობა შეუქმნა ჩუხუას, რომელიც კარგად უბამდა მხარს იაგორაშვილს და გოლიც ამ წყვილის მიერ ოსტატურად გათამაშებული კომბინაციის შედეგად გავიდა — მარცხენა ფრთიდან პარტნიორის მიერ ჩაწოდებულ ბურთს ადგილზე დახვდა ჩუხუა და კარშიც ზუსტად გაგზავნა. ანალოგიური „ორსვლიანი კომბინაცია“ გათამაშდა თამაშის მიწურულსაც, ოღონდ ამჯერად იაგორაშვილის პასს ხურცილავამ მიუსწრო და ორამდე გაზარდა ანგარიში.

„კოლხეთი“ შესვენების შემდეგ საგრძნობლად გამოცოცხლდა და მწვავედაც შეუტია მასპინძელთა კარს. სტუმრებს რომ თავიდანვე შეტევაზე ეფიქრათ, შესაძლოა, სხვა შედეგის მოწმენი ვიქნებოდით.

ჟ. უნგიაძე

„გორდა“ (რუსთავი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 1:0 (0:0)

რუსთავი. „ფოლადის“ სტადიონი. 25 აპრილი.

„გორდა“: ქორიძე, ფირცხალავა, ბურნაძე, ლობჟანიძე, ქასრაშვილი, თორლაშვილი, ტ. კაპანაძე, კილასონია, ა. კაპანაძე, ფანცულაია (ავაქიანი, 85), მეტრეველი.

„გურია“: აბუსერიძე, ჩხაიძე, გუჯაბიძე, დანელია, კვინტრაძე, ნემსაძე, ბარათაშვილი, მეგრელაძე, კორღალიძე, გოგიჩაიშვილი, უგრელიძე (ქურიძე, 72).

მსაჯები: მ. კობიაშვილი (დუშეთი), ვ. ეჯიბია, ვ. ჩოჩიშვილი (ორივე — თბილისი).

გოლი: მეტრეველი (75).

ტურის ცენტრალური მატჩი (ორივე გუნდი ლიდერთა ჯგუფშია) ნელ ტემპში დაიწყო, ბურთი უმეტესად მინდვრის შუაგულში ტრიალებდა, იერიშები იშვიათობა გახლდათ. შემდგომ უფრო საგრძნობი იყო „გურიის“ მცირე უპირატესობა.

მეორე ტაიმი შედარებით საინტერესოდ წარიმართა. სტუმრებს ამჯერად საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე უფრო დასჭირდათ ზრუნვა. „გურიის“ კარის დარაჯს რუსთაველთა არაერთი სახიფათო დარტყმის მოგერიება მოუხდა. ერთადერთი ბურთი კი ა. კაპანაძის მიერ მარცხენა ფრთიდან ჩამოწოდებული ზუსტი გადაცემის შედეგად მეტრეველმა გაიტანა. ამის შემდეგ კაპანაძესაც შეეძლო სტუმართა კარის მეორედ აღება, მაგრამ ოსტატურად ითამაშა აბუსერიძემ.

დასასრულ, ერთი შენიშვნა: „გორდას“, რომელიც ლიდერთა ჯგუფშია და შესაძლოა სექტემბერში ევროპის საკლუბო ტურნირში მიიღოს მონაწილეობა, ერთობ არასახარბიელო მდგომარეობაში აქვს სათამაშო მინდორი, რაც თვალნათლივ იგრძნობოდა ამ მატჩშიც.

ბესო მჭედლიშვილი (მატჩის ინსპექტორი): ორივე გუნდში არიან მოთამაშეები, რომლებსაც შესწევთ უნარი ითამაშონ ლამაზი, გააზრებული ფეხბურთი, ეს კი მათ ამჯერად ვერ შეძლეს. მიზეზი? რუსთავის სტადიონის მინდორი.

რამინ ყურაშვილი,
„ლელოს“ სპეც. კორ.

29-ე ტურის სხვა მატჩები: „მერცხალი“ — „სულორი“ 0:1, „ალაზანი“ — „იბერია“ 0:1.

გათამაშების ცხრილი

XXIX ტურის შემდეგ

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„იბერია“	25	20	2	3	77-25	62
„ცხუმი“	24	15	3	6	63-34	48
„გორდა“	25	14	6	5	58-20	48
„გურია“	24	15	2	8	56-34	47
„ოდიში“	25	11	5	9	33-35	38
„ქუთაისი“	26	11	4	11	43-34	37
„ბათუმი“	27	11	4	12	33-41	37
„დილა“	27	10	7	10	39-33	37
„სამტრედია“	26	10	6	10	37-39	36
„შევარდენი-1906“	27	11	2	14	36-43	35
„სამგურალი“	26	10	4	12	26-31	34
„მრეტები“	26	9	7	10	35-30	34
„სულორი“	27	9	6	12	38-54	33
„მზიური“	23	10	2	11	28-39	32
„კოლხეთი-1913“	24	8	8	8	28-29	32
„მარგვეთი“	26	7	11	8	29-34	32
„ალაზანი“	26	7	6	13	25-49	27
„ამირანი“	24	6	6	12	27-33	24
„კოლხეთი“	24	6	6	12	29-45	24
„მერცხალი“	27	4	5	18	23-66	17

XXVIII ტური

„იბერია“ (თბილისი) — „გორდა“ (რუსთავი) 3:1 (2:0)

თბილისი. ბ. პაიჭაძის სახელობის სტადიონი. 20 აპრილი.

„იბერია“: ჩხეიძე, არზიანი, ჯამარაული, შელია, კუდინოვი, რ. ბრეგვაძე, ინალიშვილი (რეხვიაშვილი, 85), ჩიქოვანი, კაჭარავა, ყაველაშვილი, შ. არველაძე.

„გორდა“: ქორიძე, ფირცხალავა (ალადაშვილი, 84), ავაქიანი (სულაძე, 57), ბურნაძე, ქასრაშვილი, თორლაშვილი, ტ. კაპანაძე, კილასონია, ა. კაპანაძე, ფანცულაია, ბაკურაძე (მეტრეველი, 46).

მსაჯები: ა. მილჩენკო, დ. სანაია, ა. სამხარაძე (სამივე — სოხუმი).

გოლები: ყაველაშვილი (36,44), შ. არველაძე (57), ფანცულაია (61).

„შევარდენი-1906“ (თბილისი) — „მერცხალი“ (ოზურგეთი) 2:1 (2:1)

თბილისი. „შევარდენის“ სტადიონი. 20 აპრილი.

„შევარდენი-1906“: დოლიძე, ელიაშვილი, ტარტარაშვილი, ჩადუნელი, ნადარეიშვილი, კობალეიშვილი, ანჩაბაძე, შალამბერიძე, ყიფიანი, ქობელაშვილი, მინაშვილი.

„მერცხალი“: ვ. დუმბაძე, როყვა (ბ. დუმბაძე, 46), დოლიძე (ქობალაძე, 62), მუავანაძე, ბარამიძე, წივწივაძე, ტუღუში, ამაშუკელი, ჩოგოვაძე, სალუქვაძე, კალანდაძე.

მსაჯები: გ. ახკარ-ოღლი (ქარელი), ი. ნოზაძე (გორი), ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი).

გოლები: ქობელაშვილი (5,30), ამაშუკელი (20).

გააფრთხილეს ამაშუკელი.

„სადებიუტო“ ორმხრივმა იერიშებმა წარმატება პირველს, „შევარდენს“ მოუტანა: ლამაზი კომბინაცია ქობელაშვილმა დააგვირგვინა — მინაშვილის მიერ ფლანგიდან ჩამოწოდებულ ბურთს თავით ზუსტად შეუცვალა მიმართულება. ამან მეტი სიმწვავე შემატა სტუმართა იერიშებს და ერთ-ერთი შეტევისას ამაშუკელმა იმარჯვა — კარგად გამოიყენა ჩოგოვაძის გადაცემა და ანგარიშიც გაათანაბრა. თბილისელებს სულ ხუთი წუთი დასჭირდათ კვლავ დასაწინაურებლად და ამჯერადაც თავი გამოიჩინა მინაშვილ-ქობელაშვილის „დუეტმა“. ორივე გუნდი შემდეგაც ბევრს ეცადა ანგარიშის შეცვლას, მაგრამ ამაოდ.

„ლელოს“ კორ.

XXVII ტური

„ალაზანი“ (გურჯაანი) — „სამტრედია“ (სამტრედია) 2:0 (0:0)

გურჯაანი. ცენტრალური სტადიონი. 16 აპრილი.

გოლები: ე. სანადირაძე (55), გ. ბაწაშვილი (88).

გააფრთხილეს: დ. სანიკიძე, დ. კობრეიძე (ორივე — „სამტრედია“), დ. სოლოღაშვილი („ალაზანი“).

„ცხუმი“ (სოხუმი) — „ქუთაისი“ (ქუთაისი) 2:0 (1:0)

სოხუმი. ცენტრალური სტადიონი. 17 აპრილი.

გოლები: გ. გოგიაშვილი (31), მ. ჯიშკარიანი (63, პენალტით).

XXVIII ტური

„კოლხეთი-1913“ (ფოთი) — „ცხუმი“ (სოხუმი) 2:1 (2:1)

ფოთი. „ფაზისის“ სტადიონი. 21 აპრილი.

გოლები: ვ. ტორჩინავა (17), მ. ქობალია (23) — „კოლხეთი-1913“, მ. ჯიშკარიანი (40, პენალტით) — „ცხუმი“.

„ბათუმი“ (ბათუმი) — „მრეტები“ (თბილისი) 0:0

ბათუმი. ცენტრალური სტადიონი. 21 აპრილი.

გააფრთხილეს: გ. ქორიძე, ქ. სიდამონიძე (ორივე — „მრეტები“).

„ქუთაისი“ (ქუთაისი) — „ოდიში“ (ზუგდიდი) 3:0 (2:0)

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 21 აპრილი.

გოლები: ო. თუთბერიძე (28 — „ოდიში“, საკუთარ კარში), ვ. ხურცილავა (40), დ. ჯანაშია (55, პენალტით).

გააფრთხილეს ბ. შავგულიძე („ქუთაისის“).

„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 1:1 (0:0)

ოჩამჩირე. ცენტრალური სტადიონი. 21 აპრილი.

გოლები: ვ. ყიზილაშვილი (53, „ალაზანი“), ი. ტრუჭალიოვი (71, პენალტით) — „ამირანი“.

გააფრთხილეს რ. გოგიტაძე („ამირანი“).

„სამტრედია“ (სამტრედია) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 0:0

სამტრედია. ე. მანჯგალაძის სახელობის სტადიონი. 21 აპრილი.

გააფრთხილეს ზ. იონანიძე („სამგურალი“)

„სულორი“ (ვანი) — „დილა“ (გორი) 1:0 (0:0)

სამტრედია. ე. მანჯგალაძის სახელობის სტადიონი. 21 აპრილი.

გოლი: ჯ. ვერულაშვილი (47).

„კოლხეთი“ (ხობი) — „მზიური“ (გალი) 1:0 (0:0)

ხობი. „კოლხეთის“ სტადიონი. 21 აპრილი.

გოლი კ. ხურცილავა (49, პენალტით).

გააფრთხილეს: დ. ღურწკაია („მზიური“), გ. დოლბაია („კოლხეთი“).

„გურია“ (ლანჩხუთი) — „მარგვეთი“ (ზესტაფონი) 2:1 (1:1)

ლანჩხუთი. „გურიის“ სტადიონი. 21 აპრილი.

გოლები: მეგრელაძე (5), კორღალიძე (88, პენალტით) — „გურია“, ჯუღელი (44 — „მარგვეთი“).

გააფრთხილეს: მ. თევზაძე, ლ. ბარათაშვილი („გურია“), მ. ღონღაძე, ვ. ფოცხვერაშვილი („მარგვეთი“).

XXIX ტური

„მზიური“ (გალი) — „შევარდენი-1906“ (თბილისი) 2:1 (0:0)

გალი. ცენტრალური სტადიონი. 25 აპრილი.

გოლები: ეთერია (48), ხარჩილავა (66) — „მზიური“, ქობელაშვილი (89 — „შევარდენი-1906“).

„დილა“ (გორი) — „სამტრედია“ (სამტრედია) 2:0 (0:0)

გორი. ცენტრალური სტადიონი. 25 აპრილი.

გოლები: ზვიად ხორგუაშვილი (56), ზურაბ ხორგუაშვილი (72).

„სამგურალი“ (წყალტუბო) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 0:1 (0:1)

წყალტუბო. 26 მაისის სახელობის სტადიონი. 25 აპრილი.

გოლი: თოლორდავა (36).

გააფრთხილეს ბ. ჩხვირკია („ამირანი“).

„მარგვეთი“ (ზესტაფონი) — „ქუთაისი“ (ქუთაისი) 0:0

ზესტაფონი. „მარგვეთის“ სტადიონი. 25 აპრილი.

გააფრთხილეს ი. ზოიძე („ქუთაისის“).

„ოდიში“ (ზუგდიდი) — „კოლხეთი-1913“ (ფოთი) 0:0

ზედაეწერის სტადიონი. 25 აპრილი.

„ცხუმი“ (სოხუმი) — „ბათუმი“ (ბათუმი) 2:0 (1:0)

სოხუმი. ცენტრალური სტადიონი. 25 აპრილი.

გოლები: ჯიშკარიანი (42), გოგიაშვილი (74).

მსოფლიო ჩემპიონატზე

დაიწყო 1994 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი ევროპის ზონაში.

III ჯგუფი. ესპანელებმა სევილიაში უმასპინძლეს ალბანეთის ნაკრებს და 3 უპასუხო ბურთი გაიტანეს მეტოქის კარში: ორი — მიჩელმა, ერთი — იერომ.

ბელფასტში ერთმანეთს შეხვდნენ ჩრ. ირლანდიისა და ლიტვის გუნდები. ფრე — 2:2.

IV ჯგუფი. ბრიუსელში, ბელგიისა და კვიპროსის გუნდების შეხვედრაში, ყველასათვის მოულოდნელად, მასპინძლები ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდნენ და მხოლოდ მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვეს — 1:0. ბურთი 24-ე წუთზე გაიტანა ვილმოტსმა.

პუერტო-რიკოს ფეხბურთელები გავიდნენ 1994 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მორიგ ტურში. პუერტო-რიკოს ნაკრებმა შინ, სანხუანში, ფრედ ხთამაშა სანტოდომინგოს გუნდთან — 1:1. პუერტორიკოელებმა პირველი მატჩი მეტოქის მინდორზე მოიგეს ანგარიშით 2:1, ასე რომ, საერთო ჯამშიც წარმატებას მათ მიაღწიეს.

ახლა პუერტო-რიკოს გუნდის მეტოქეა იამაიკის ნაკრები. ამ გუნდებს შორის გამარჯვებული უფლებას მოიპოვებს ითამაშოს კარიბის ზღვის აუზის ქვეყნების ძირითადი ჯგუფის ტურნირში.

გაიმართა, აგრეთვე, სენტ-ვინსენტისა და სენტ ლიუსის გუნდების შეხვედრაც. გამარჯვება წილად ხვდათ სენტ-ვინსენტის ფეხბურთელებს, რომლებმაც თავიანთ მინდორზე გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1 და მიუხედავად პირველ შეხვედრაში დამარცხებისა (0:1), გავიდნენ გათამაშების შემდგომ ეტაპზე. ახლა სენტ-ვინსენტის ნაკრები შეხვდება გაიანა-სურინამის გუნდებს შორის გამარჯვებულს.

„მაკდონალდსი“ —
მეცხრე სპონსორი

ნიუ-იორკი. „მაკდონალდსის“ კომპანიამ დაახლოებით 20 მილიონი დოლარი გადაუხადა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას იმის საფასურად, რომ იგი 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის კიდევ ერთი, რიგით მეცხრე სპონსორი იქნება. უფრო ადრე ეს უფლება, რა თქმა უნდა, სათანადო თანხის გადახდის შემდეგ, მოიპოვეს ცნობილმა ფირმებმა „ქენონმა“, „კოკა-კოლამ“, „ფუჯიმ“, „ჟილეტმა“, „ჯი-ვი-სიმ“, „მასტერკარდმა“, „მარსმა“ და „ფილიპსმა“.

„მაკდონალდსს“, რომელსაც 60 ქვეყანაში 12 ათასზე მეტი რესტორანი გააჩნია, მსოფლიოს მომავალი საფეხბურთო ჩემპიონატის ოფიციალური სპონსორის სტატუსის უფლებას აძლევს თავის რეკლამაში გამოიყენოს მსოფლიოს ჩემპიონატის ემბლემა და თილისმა.

• • •

● **ევროპის** ჩემპიონატისთვის მზადების პროგრამით შვეციის ფეხბურთელები ტუნისში შეხვდნენ ამ ქვეყნის ნაკრებს და გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0.

● **ახალგაზრდული** გუნდების (ასაკი — 21 წლამდე) ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში იტალიელებმა დანიის ნაკრებს მოუგეს ანგარიშით 2:0 (პირველი შეხვედრა — 1:0) და ფინალში გავიდნენ. იტალიელთა მეტოქე გამოვლინდება შვეციისა და შოტლანდიის გუნდების განმეორებით შეხვედრაში. პირველი მატჩი, რომელიც შოტლანდიის ქალაქ აბერდინში გაიმართა, დამთავრდა ფრედ — 0:0.



.....ცოდო-მადლი იწონება“

იყიდება გავშვთა ჯანმრთელობა, მხნეობა, ხალისი; იყიდება თბილისის ყველა უბანში, ყველა მიკრორაიონში, თითქმის ყველა კორპუსთან. ყიდიან მშობლები (?!), სახლმმართველობები, უბნის ინსპექტორები... ფასები განუხრელად იზრდება. გამყიდველებს შესაშური ენერგიულობითა და ოპერატიულობით ეხმარებიან სახელმწიფო ბულდოზერები, ამწეები, თვითმცლელი მანქანები, ორგანიზაციები, რომლებიც საშენი მასალებით ამარაგებენ დამნაშავეებს.

კარატე მისი ცხოვრება იყო

ალბათ არ არის მსოფლიოში მამაკაცი, რომელიც პოპულარობით კონკურენციას გაუწევდა ელვის პრესლის. როკ-ნ-როლის „მეფეს“ მართლაც არ ჰყავდა ტოლი არაფერში.

პრესლის სიკვდილამდე (1977 წლის 16 აგვისტო) გაიყიდა მისი 500 მილიონი ფირფიტა, შვიდი წლის შემდეგ კი ასეთი ფირფიტების რიცხვმა მილიარდს გადააჭარბა — მსგავსი წარმატებისთვის დღემდე არც ერთ მომღერალს არ მიუღწევია. იგი გადაიღეს 33 ფილმში, თანაც თითოეულში საშუალოდ მილიონ დოლარს იღებდა. 1973 წელს პრესლისადმი მიძღვნილმა ტელეგადაცემამ ეკრანებთან თავი მოუყარა მილიარდზე მეტ მაყურებელს...

მის შესახებ თითქმის ყველაფერია ცნობილი, ვინაიდან „ვარსკვლავი“ მუდამ ყველას თვალწინ ბრწყინავს. მაგრამ ბევრმა ალბათ არ იცის, რომ თავისი არც ისე ხანგრძლივი ცხოვრების 19 წელი პრესლიმ კარატეს შესწირა. იგი, სხვათა შორის, მუდამ ამბობდა, რომ ყველაფერი, რასაც მიაღწია, კარატეს დამსახურებააო.

ელვის პრესლი

საბრძოლო ხელოვნებით იგი დაინტერესდა 1958 წელს ფორტჰუდში, სადაც სამხედრო სამსახურს გადიოდა. მალე იგი ჯიუ-ჯიცუში საჩვენებელი გამოსვლების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე გახდა. იმავე წელს პრესლი სამუშაოდ გააგზავნეს გერმანიაში, სადაც დაიწყო კიდეც ვარჯიში კარატეში. მისი პირველი მასწავლებელი იყო იურგენ ზაიდელი, რომელიც სეტოკანის სტილის ცნობილ სპეციალისტად ითვლებოდა. პრესლი იმდენად გაიტაცა კარატემ, რომ ოფიციალური ვარჯიშის შემდეგ დამოუკიდებლად მეცადინეობდა რექს მენსფილდთან ერთად.

1960 წელს დემობილიზაციის შემდეგ მემფისში დაბრუნებულმა მეცადინეობა განაგრძო უკვე სიტორიუს სტილში. აქ ჰანკ სლემანსკის ხელმძღვანელობით მან პირველი დანი მიიღო. რამდენიმე თვის შემდეგ პრესლიმ გაიცნო კარატეს წმინდა ამერიკული სტილის — კენპო კარატეს შემქმნელი ედ პარკერი და მის მოწაფედ დარჩა სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე.

პარკერი ასწავლიდა ტრადიციულ კარატეს და ყოველმხრივ უარყოფდა მაშინ მოდაში შემოსულ ფულ-კონტაქტს, სადაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა უხეშობასა და ეფექტურობას. პრესლის მოსწონდა ლამაზი, დახვეწილი, ერთგვარად სტილიზებული მოძრაობები, რომელსაც ასწავლიდა პარკერი და კენპოს თაყვანისმცემელი გახდა. მან თავის გიტარას პარკერის სკოლის ემბლემაც კი დააკრა და ამით მასწავლებელს მუდმივი ერთგულება დაუმტკიცა.

იმხანად კარატე შეერთებულ შტატებში პირველ ნაბიჯებს დგამდა და, ცხადია, ნამდვილი ოსტატი-კარატისტი არც ისე ბევრი იყო. პრესლი იმათ შორის ირიცხებოდა (100-150 კაცი), ვინც შავ ქამარს ფლობდა და, ბუნებრივია, თავისი ოსტატობის დემონსტრირება უწევდა ყველგან, სადაც კი საჭირო ან შესაძლებელი იყო. კონცერტების დროს შესვენებებზე იგი საკმაოდ ინტენსიურად ვარჯიშობდა. ბოლოს მან კარატეს ხელოვნება თავის მცველებს, რედ და რონი უესტებსაც შეასწავლა.

შემდგომში უესტებმა კარატეს ინსტიტუტი ჩამოაყალიბეს, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი გახდა ლეგენდარული ბილ უოლესი. პრესლი, როგორც კი თავისუფალი დრო გამოუჩნდებოდა, ძმების ინსტიტუტში დადიოდა სავარჯიშოდ. ნელ-ნელა ეს, სკოლა ვარსკვლავთა თავყრილობის ადგილი გახდა. აქ ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი კარატეში, ცნობილი კინოვარსკვლავი ჩაკ ნორისი, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი ფულ-კონტაქტსა და კიკბოქსინგში. ჯო ლუისი, ევროპის ცხრაგზის ჩემპიონი კარატეში დომინიკ ვალერა და სხვები.

პრესლის სახელი და პოპულარობა სკოლისთვის შეუდარებელი რეკლამა იყო, მაგრამ მას არ უყვარდა უცნობებთან კონტაქტი და მათ გარემოცვაში არ ვარჯიშობდა. იგი კატეგორიული წინააღმდეგი იყო, აგრეთვე, კინო და ფოტოგადაღებებისა და მხოლოდ ერთხელ, 1975 წელს თავის 40 წლისთავთან დაკავშირებით მისცა გადაღების უფლება პოპულარულ ჟურნალ „პიპლს“. ბუნებრივია, ამ იშვიათ ფოტოებს დღეს ზღაპრული ფასი აქვთ.

კარატე ღრმად გაჯდა მომღერლის ცხოვრებაში, მის ყოველდღიურ საქმიანობაში და პრესლიც დაუღალავად ქადაგებდა პატიოსნების, ძმობისა მორჩილების წმინდა პრინციპებს. კარატემ ბევრი რამ მისცა პრესლის, მაგრამ არც პრესლი დარჩენილა ვალში — მან ყველაფერი გააკეთა კარატეს პოპულარიზაციისთვის.

ყოველი წლის 10 აგვისტოს მემფისში (ტენესის შტატი) იწყება პრესლის ხსოვნისადმი მიძღვნილი კვირეული. პროგრამაში ბევრი სანახაობაა, მაგრამ 1983 წლიდან მოყოლებული, კვირეულის მთავარ ღონისძიებად კარატისტთა სამდღიანი ტურნირი ითვლება. ამ ასპარეზობაზე ინსტრუქტორებად, მსაჯებად და საპატიო სტუმრებად იწვევენ ყველა სახელგანთქმულ კარატისტს, ვინც პირადად იცნობდა მომღერალს. შეჯიბრება მთავრდება 16 აგვისტოს, პრესლის გარდაცვალების დღეს. გამარჯვებულებს სახელმოხვეჭილი ვეტერანები სპეციალურ პრიზებს გადასცემენ „პრესლის ფონდიდან“.

ერთხელ ელვის პრესლის მეუღლემ პრისცილა ბიუიმ განაცხადა: „სხვებისა რა მოგახსენოთ. მაგრამ მე კარგად ვიცი, რომ კარატე პრესლისთვის მთელი ცხოვრება იყო... ელვისი არასდროს არ იქნებოდა ის, რაც იყო, კარატეს გარეშე“.

ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის მონაწილენი

შვეცია

1984 წლიდან მოყოლებული, შვეციის ფეხბურთელთა ნაკრები მსოფლიოს ყველა ჩემპიონატში მონაწილეობს და არც თუ ურიგოდ. ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია შინ, 1958 წელს — შვედებმა მეორე ადგილი დაიკავეს. აი, ევროპის პირველობებზე კი...

სკანდინავიელებს აქ დასაკვეხნი არაფერი აქვთ. 1960 წელს ისინი შეჯიბრებაში საერთოდ არ მონაწილეობდნენ. 1964 წელს მეოთხედფინალში გავიდნენ, რაც, ცხადია, კარგი შედეგი იყო, მაგრამ შემდეგ ზედიზედ ხუთჯერ ვერ მოხვდნენ ფინალურ ეტაპზე. ეს ტრადიცია მხოლოდ ახლა დაირღვა და თანაც იმიტომ, რომ შვეცია ამ ასპარეზობის მასპინძელია.

შვეციაში 8 მილიონ 356 ათასი მცხოვრებია (1990 წლის მონაცემებით). ფეხბურთის ფედერაცია 1904 წელს დაარსდა, იმავე წელს იგი ფიფას წევრი გახდა, 1954 წლიდან კი უეფას შემადგენლობაშია.

ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ნაკრების მწვრთნელი ოლე ნორდინი შეცვალა ტომი სვენსონმა.

შვეციის ნაკრებს სერიოზულ სათამაშო პრაქტიკაზე უნდა ეზრუნა, ვინაიდან შესარჩევ ციკლში არ უასპარეზია. შვედებმა შარშან 9 საერთაშორისო მატჩი გამართეს. აი, მათი შედეგები: ბერძნებთან — 2:2, ავსტრიელებთან — 6:0, კოლუმბიელებთან — 2:2, საბჭოთა ნაკრეთან — 2:3, დანიელებთან — 4:0, ნორვეგიელებთან — 2:1, პოლონელებთან — 0:2, იუგოსლავიელებთან — 4:3, შვეიცარიელებთან — 1:3. სულ 4 მოგება, 3 წაგება და 2 ფრე.

პირველობის ფავორიტებად ტ. სვენსონს ფრანგები მიაჩნია. მისი აზრით, ახლა ეს გუნდი ევროპაში ყველაზე ძლიერია და დიდი პატივია, რომ ჩემპიონატის გახსნის დღეს შვედები სწორედ მას ხვდებიან.

გუნდის საბრძოლო შემადგენლობის დადგენაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა. მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატის მონაწილეებისა და 1990-91 წლების ამხანაგურ მატჩებში გამოსულთა სიებს თუ გადავხედავთ, მრავალ ახალ სახელს შევხვდებით. საკმარისია აღინიშნოს, რომ ამ ამხანაგურ მატჩებში სულ რაღაც წელიწადნახევრის განმავლობაში 34 (!) ფეხბურთელი მონაწილეობდა. მათი უმრავლესობა საზღვარგარეთ თამაშობს და მწვრთნელთან არასაკმარისი კონტაქტი აქვს. სნაიპერი კენეტ ანდერსონი, მაგალითად, ბელგიის „მეჰელენში“ გამოდის, ახალგაზრდა ნიჭიერი თავდამსხმელი თომას ბროლინი, რომელმაც ყურადღება მიიპყრო მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატში იტალიის „პარმაშია“, როგერ ლიუნგი — ვენის „ადმირა-ვაკერში“, მათს გრენი — ციურიხის „გრასჰოპერსში“, იონას ტერნი — ლისაბონის „ბენფიკაში“, ანდერს ლიმპარი — ლონდონის „არსენალში“, როლანდ ნილსონი — „შეფილდ უენსდეიში“ და ა. შ.

ძირითად მეკარედ კვლავ თომას რაველი ((1959 წ. „გეტებორგი“) ითვლება. მსოფლიო ჩემპიონატზე სისტემატურად თამაშობდნენ მრავალნაცადი მცველები პეტერ ლარსონი (1961, სტოკჰოლმის აიკ-ი) და გლენ ჰიუსენი (1959, „ლივერპული“). ლარსონი შარშანაც მონაწილეობდა ამხანაგური თამაშების უმეტეს ნაწილში, ჰიუსენი კი მწვრთნელმა მხოლოდ ორჯერ მიიწვია (ასაკი!).

შუა ხაზში სვენსონს საკმაოდ დიდი არჩევანი აქვს. ამ რგოლში გამოირჩევა ანდერს ლიმპარი (1965, „არსენალი“). წინა ხაზზე ნამდვილ ვარსკვლავად თვლიან 22 წლის ბროლინს, რომელიც ნაკრებში 19 წლის ასაკიდან გამოდის, როდესაც იგი ნორდინმა პირველად გამოიყვანა უელსელთა წინააღმდეგ, ბევრი ექსპერტი თვლიდა, რომ მწვრთნელმა აშკარად იჩქარა, მაგრამ თამაშის შემდეგ (4:2 შვედების სასარგებლოდ), როცა ბროლინმა მშვენიერი გოლი გაიტანა, მიმომხილველები აღნიშნავდნენ ჭაბუკის დიდ სისწრაფესა და ოსტატობას. 1990 წელს დაწინაურდა კიდევ ერთი ნიჭიერი ახალგაზრდა თავდამსხმელი — კლას ინგესონი (1968, ბელგიის „მეჰელენი“), რომლისაც, ბროლინისა არ იყოს, სვენსონსაც დიდი იმედი აქვს. გარდა ამისა, გუნდს ჰყავს ცნობილი ფორვარდი მათს ტურე მაგნუსი (1963, „ბენფიკა“).

ბიბი ბამრეკელი

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

„იბერიაბანკი“ — საქართველოს საქმიანი წრეების სამსახურში

„იბერიაბანკი“ ერთად-ერთი ბანკია საქართველოში, რომელსაც გააჩნია გენერალური ლიცენზია სავალუტო ოპერაციების ჩატარებაზე ქვეყნის საზღვრებს გარეთ.

„იბერიაბანკი“ ერთად-ერთი ბანკია საქართველოში, რომელიც თავისი ოფისიდან პირდაპირი კავშირის საშუალებით ახორციელებს საბანკო ოპერაციებს მსოფლიოს ნებისმიერ რეგიონთან.

„იბერიაბანკის“ გამგეობა გთხოვთ, მხოლოდ დიდი საფინანსო პროექტებისა და ოპერაციების განხორციელების შემთხვევაში ისარგებლოთ ჩვენი ბანკის ოპერატიული მომსახურებით.

ჩვენი მისამართია: თბილისი 380008, ბროსეს ქ. №1, ტელ: 98-70-50, ფაქსი 8832 988090 ტელექსი 212993.

ა. წ. 1 მაისს ქ. თბილისში ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე იხსნება საგაზაფხულო ბაზრობა.

შემოსავალი მოხმარდება ქართული სპორტის განვითარებას, მხარდაჭერა გაეწევა ვეტერან სპორტსმენებს, ახალგაზრდა პერსპექტიულ და გამოჩენილ სპორტსმენებსა და მრავალშვილიან ოჯახებს.

მივმართავთ არსებულ ასოციაციებს, საზოგადოებებს, მეწარმეებს, ფირმებს, სახელმწიფო ორგანიზაციებს, კერძო პირებს, რომ მათთვის იქნება შექმნილი ყველა პირობა ვაჭრობისათვის თუ წინასწარი შეკვეთით მიმართავენ საგაზაფხულო ბაზრობის დირექციას. შემდგომში, დასვენების დღეებში, საგაზაფხულო ბაზრობასთან ერთად ჩატარდება გასართობი ღონისძიებები.

ყველას ვისაც სურს ჩვენთან თანამშრომლობა მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: წერეთლის გამზირი № 2, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი, ოთახი № 9. ტელეფონი: 95-82-97.

სააქციო საზოგადოება „დინამო“
საგაზაფხულო ბაზრობის დირექცია.

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი

(აკ. წერეთლის გამზირი № 2)

ფეხბურთი.

საქართველოს 1991-92 წ.წ. ჩემპიონატი
(უმაღლესი ჯგუფი)



3 მაისი

„იბერია“ (თბილისი) — „სამგურალი“ (წყალტუბო)

4 მაისი

„მრეტები“ (თბილისი) — „ცხუმი“ (სოხუმი)

დასაწყისი 17 საათზე.

ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 3 და 4 მაისს 11 საათიდან.

საქართველოს ნარდის ფედერაციას მაისისთვის თბილისში დაგეგმილი აქვს მასობრივი ტურნირის მოწყობა მოკლე ნარდში.

შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად ვიწვევთ თბილისის რაიონებისა და უბნების, უმაღლესი სასწავლებლების, დაწესებულებების 5-5 კაციან გუნდებს, აგრეთვე ოჯახების, საძმაკაცოების, სანათესაოებისა, საგვარეულოთა სპორტული გუნდებისა და კლუბების წარმომადგენლებს.

ტურნირში მონაწილეობის მსურველებს ვთხოვთ პირობებისა და ნარდის თამაშის საერთაშორისო წესების გასაცნობად, კონსულტაციების მისაღებად მოგვაკითხოთ ნარდის ფედერაციაში: შ. ჩიტაძის 6. III სართული, ოთახი 301, საერთაშორისო წესებით თამაშის ძირითად დებულებებს შეგიძლიათ გაეცნოთ აგრეთვე „ლელო“ — „ნარდის“ (31.III.1992) მე-3 გვერდზე.

რეგისტრაცია დამთავრდება 5 მაისისთვის, მანამდე კი გთხოვთ, ადგილებზე ჩაატაროთ შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები.

გამარჯვებულებსა და საპრიზო ადგილებზე გასულებს გადაეცემათ მრავალრიცხოვანი პრიზები და ფულადი ჯილდოები, მოეწყობა ტოტალიზატორი.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380096, მ. კოსტავას, 14,
ინდექსი 66485 INDEX
გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში.